ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №134424

ნომერი: AR141451

თარიღი : 14.04.2012

გაცემის თარიღი : 25.04.2012

გაცნობის თარიღი : 02.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 44/48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო გოგილაშვილი პ/ნ 01006000206
- თბილისი ნ.ხუდადოვის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- ლ არქიტექტსი კოდი: 202457910

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მარინა კოდუა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006007990
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202910822
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "კოლხეთი XXI

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.01.2012
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/205

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლადო გოგილაშვილი

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ჩუღურეთი), კოტე მარჯანიშვილის ქ. N44/48-ში (უძრავი ძეგლი) შ.პ.ს. "კოლხეთი XXI"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით მომართა შ.პ.ს. "ლ არქიტექსი"–ს დირექტორმა ლ. გოგილაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, (სექტორი - ჩუღურეთი), კოტე მარჯანიშვილის ქ. N44/48-ში (უძრავი ძეგლი) შ.პ.ს. "კოლხეთი XXI"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემა.

დამკვეთი: – შ.პ.ს. "კოლხეთი XXI"

საპროექტო ორგანიზაცია: – შ.პ.ს. "ლ არქიტექსი"
ავტორი: – ლ. გოგილაშვილი

საფუძველი: – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო N882011392299, 15.08.2011წ., საკადასტრო კოდი N01/16/01/017/031);
– ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.01.12 წლის N01/205 ბრძანება პროექტის შეთანხმების შესახებ და 27.01.12 წლის N6/206–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა;
– გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი N14, 03.04.12წ.

მიწის ნაკვეთის ფართი – 1695 კვ.მ
მოშენების ფართი – 540,12 კვ.მ
მთ. ნაგებობის საერთო ფართი – 2469,64 კვ.მ
მათ შორის:
მთავარი ფართი – 1156,04 კვ.მ
საზაფხულო ფართი – 99,33 კვ.მ
სარდაფის ფართი – 535,39 კვ.მ
დამხმარე ფართი – 678,88 კვ.მ
დამხმარე ნაგებობის საერთო ფართი – 162,80 კვ.მ
მათ შორის:
მთავარი ფართი – 135,10 კვ.მ
დამხმარე ფართი – 27,70 კვ.მ
მთ. ნაგებობის სამშენებლო მოცულობა – 9735,11 მ.კუბ
დამხ. ნაგებობის სამშენებლო მმოცულობა –642,18 მ.კუბ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ჩუღურეთი), კოტე მარჯანიშვილის ქ. N44/48-ში (უძრავი ძეგლი) შ.პ.ს. "კოლხეთი XXI"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 10მაისიდან 2012 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.
ეტაპები: IV სართულისა და მანსარდის მზიდი კონსტრუქციების მოწყობა, სახურავის მოწყობა, მოსაპირკეთებელი სამუშაოები, სამუშაოების დასრულება.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.